LEPL Common Courts Department under High Council of Justice
Digitally signed by LEPL Common Courts Department under High Council of Justice
Date: 2021.08.03 16:13:21 +04'00'

მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

03.08.2021წ.

ქ. თბილისი

სხდომას უძღვებოდა
სატენდერო კომისიის თავმჯდომარე — გოჩა მელიქიძე

სხდომას ესწრებოდნენ
სატენდერო კომისიის წევრები — კახა სარალიძე, მანუჩარ კეკენაძე, ვახტანგ გარდაფხაძე, ზვიად ძაბირაძე, ალექსი ლოლიშვილი, მადონა ბერიაშვილი

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი — ნაილი კბილაძე

დღის წესრიგი

ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში სარემონტო სამუშაოების (CPV– 45400000) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება;

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის 2021 წლის 02 აგვისტოს №12563-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაციით, ბაზრის კვლევაში მონაწილეობა მიიღო ორმა სუბიექტმა. მათ მიერ წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება შემსყიდველის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლების მიერ შედგენილ და შემფასებელთა კავშირის ფასებით განფასებული ხარჯთაღრიცხვის ღირებულებას.

სატენდერო კომისიამ განიხილა ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. განხილვის შედეგად კომისია ითვალისწინებს ბაზრის კვლევის შედეგებს. კერძოდ, იმ გარემოებას რომ სამშენებლო კომპანიებს აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია ბაზარზე არსებული სამშენებლო მასალების ამ პერიოდისათვის არსებული ფასების შესახებ. ასევე, პროექტის განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს ბაზრის კვლევის შედეგად შემოთავაზებული ყველაზე დაბალი ფასის და შემსყიდველის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის ღირებულების საშუალო არითმეტიკული გაანგარიშების საფუძველზე დადგენილი ფასი - 53000.00 (ორმოცდაცამეტი ათასი) ლარი.

სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრულ იქნეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღე.

სატენდერო კომისიის მიერ, კენჭისყრის შედეგად გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

დაადგინეს:

1)„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი;

2) ელექტრონული ტენდერის ჩატარების მეთოდი - NAT;

3) დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში https://tenders.procurement.gov.ge.

კომისიის თავმჯდომარე	/გოჩა მელიქიძე /
კომისიის წევრი	/მადონა ბერიაშვილი/
კომისიის წევრი	/ზვიად ძაბირაძე/
კომისიის წევრი	/ვახტანგ გარდაფხაძე/
კომისიის წევრი	/ ალექსი ლოლიშვილი /
კომისიის წევრი	/ კახა სარალიძე /
კომისიის წევრი	/ მანუჩარ კეკენაძე /
ოქმი მოამზადა	/ ნაილი კბილაძე /